სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/122

ქ. თბილისი

8 ივლისი 2025წ.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „საერთაშორისო სომელიეთა გილდიის საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობის ცენტრის“ შექმნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის თამარ ლომინაძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შეიქმნას თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „საერთაშორისო სომელიეთა გილდიის საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობის ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი).
2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**